1. პროგრამის სახელწოდება: ძველი მსოფლიოს (ძველაღმოსავლური და კლასიკური საზოგადოებების) ინტერკულტურული კვლევები.
სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სამ მოდულს:

1) ასირიოლოგია და ბიბლეისტიკა
2) კლასიკური საზოგადოებების კვლევა
3) ძველი მსოფლიოს ისტორია და კულტურა

2. პროგრამის ხელმძღვანელები: სრული პროფესორი ეკა ავალიანი, ასოცირებული პროფესორი მაია ღამბაშიძე

3. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

1. ასირიოლოგიისა და ბიბლეისტიკის კვლევის მაგისტრი
   MA in Assyriology and Biblical Studies
2. კლასიკური საზოგადოებების კვლევის მაგისტრი
   MA in Classic studies
3. ძველი მსოფლიოს ისტორიის და კულტურის მაგისტრი
   MA in Ancient History and Culture

4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

- ჰუმანიტარული მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრის ხარისხი (შეუზღუდავად);
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სხვადასხვა აკრედიტებული უნივერსიტეტების ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები დაიშვებიან მიმღებ კომისიასთან გასაუბრების შემდეგ;
- ერთ-ერთი ევროპული უცხო ენის - ინგლისური, ფრანგული, გერმანული -B2 დონეზე ცოდნა;
- ასევე სასურველია,მაგრამ არა სავალდებულო ერთ-ერთი ძველი ძველაღმოსავლური ან კლასიკური ენის ცოდნა (I საფეხური).

5. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
მიზანი:

- ძველი საზოგადოებების კვლევის პროცესში სხვადასხვა მეთოდებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების რელევანტური გამოყენება საკვლევ პრობლემასთან მიმართებაში;
- ისტორიოგრაფიული და წყაროთმცოდნეობის ბაზის შესაბამისი გამოყენება;
- საკვლევი პრობლემების დასმა, მათი კონცეპტუალური ანალიზი;
- დამოუკიდებელი კვლევის შედეგის მიღება;
- დიაქრონულ ჩარჩოებში ორი დიდი ქრონოლოგიური პერიოდის, ძველაღმოსავლური და კლასიკური საზოგადოებების ინტერდისციპლი-ნარული და, ნაწილობრივ კომპარატიული კვლევა;
- კვლევის დედუქციური უნარების შეძენა, რაც დაეხმარება მაგისტრანტს სხვადასხვა ქრონოლოგიური პერიოდიდან გამოჰყოს, დააკავშიროს

(სინთეზირება მოახდინოს) და ანალიზი გაუკეთოს თემატურად ანალოგიურ მოვლენებს, ფაქტებსა და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებს;

- კრიტიკულად მიუდგეს ისტორიულ წყაროების კვლევას, წყაროები დააჯგუფოს და გამოიყენოს შესაბამის კონტექსტში;
- ისტორიოგრაფიული მიდგომით წარმართოს სამეცნიერო კვლევა;
- მაგისტრანტმა კვლევის პროცესში ნაწილობრივ დამოუკიდებლად უნდა შეძლოს წყაროებზე მუშაობა (გასათვალისწინებელია ენობრივი კომპეტენციები);
- მაგისტრანტმა კვლევის პროცესში უნდა შეძლოს სხვადასხვა უნარის გამოვლენა:
  ა) გამოჰყოს საკვლევი პრობლემა;
  ბ) პრობლემის გარშემო დაგეგმოს კვლევის ასპექტები და მიმართულებები;
  გ) შეძლოს ზეპირი პრეზენტაცია;
  დ) წერილობით, აკადემიურ ფორმატში, წარმოადგინოს გამოკვლეული პრობლემა.

შედეგები:

- სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს ექნება ბაზისური ცოდნა ძველი საზოგადოებების ფართო, დიაქრონულ ჩარჩოებში;
- ინტერდისციპლინარულ კონტექსტში, შეეძლებათ თავიანთი ცოდნისა და სამეცნიერო უნარ_ჩვევების დახმარებით შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობითაც კი, ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრება, კონცეფცია, რომელიც დაეყრდნობა სხვადასხვა პარამეტრების ანალიზის შედეგებს:
  1. არტეფაქტების იდენტიფიკაციას;
  2. წყაროზე მუშაობას;
  3. საზოგადოების სამართლებრივი და საკანონმდებლო ინსტიტუტების ცოდნას;
  4. კულტურულ-რელიგიურ კონტექსტის ანალიზს;
  5. კულტურული სინთეზების კვლევას და სხვ.
- მაგისტრანტს ექნება პროფესიული დასკვნების საჯარო დეკლამაციის უნარი;
- განუვითარდება სხვა ექსპერტებთან პროფესიონალური თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;
- შეეძლება სწავლა გააგრძელოს დოქტურანტურის საფეხურზე და მოახდინოს პროფესიული თვითსრულყოფა;
- შეიცვალოს სპეციალობა და სწავლა გააგრძელოს მონათესავე დარგების ფარგლებში (მედიავისტიკა, კულტურის მეცნიერებები, არქეოლოგია და სხვა);
- მაგისტრი დარგის ფარგლებში კონცეპტუალურ დონეზე დააყენებს პრობლემას; გამოიმუშავებს კრიტიკული კვლევის უნარებს, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფურად შეძლებს მუშაობას სამეცნიერო პრობლემაზე;

დასაქმების სფეროები: აღნიშნული კომპეტენციებიდან გამომდინარე, მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს სამეცნიერო-კვლევით სეგმენტებში, ითანამშრომლოს არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ასევე მას შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებულ კვლევით დაწესებულებებში, სახელმწიფო, არასამთავრობო და კერძო სტრუქტურებში.

სწავლის გაგრძელების საშუალება: მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.